საინფორმაციო ბიულეტენი №11 თებერვალი-მარტი, 2015

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

GHRN
ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი
GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK

ძვირფასო მკითხველო,

„ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა“ ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით განაახლა ყოველთვიური ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა. ბიულეტენი განკუთვნილია „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრთათვის და მისი შინაარსიც ამან განაპირობა: ქსელის წევრ ორგანიზაციებში ჩატარებული შეხვედრების მიმოხილვა, საერთაშორისო სიახლეები ზიანის შემცირების საკითხებზე, ასევე, თვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები ზიანის შემცირების სფეროში. ელექტრონულ ბიულეტენში, იხილავთ ინფორმაციას „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრი ორგანიზაციების აქტივობების შესახებ და მომდევნო თვის შეხვედრების ანონსს. საინფორმაციო ბიულეტენი ქართულენოვანია და ელექტრონული ფოსტით გაეგზავნება „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ ორგანიზაციების წარმომადგენლებს და მხარდამჭერებს.

„მჯერა, რომ ერთობლივი და თანმიმდევრული მოქმედებით ეს მიზანი მიიღწევა“

თებერვლის თვეში ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის აღმასრულებელ დირექტორად თამარ გერმანაშვილი დაინიშნა. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. დაამთავრა თსუ-ს ბიზნესის უმაღლესი სკოლა ეკონომისტის კვალიფიკაციით და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურა საჯარო მმართველობის განხრით. არის ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. 20 წელია, რაც სამოქალაქო სექტორში მოღვაწეობს. ბოლო 4 წლის განმავლობაში USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროექტში – „საჯარო პოლიტიკა, ადვოკატირება და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება“ – მუშაობდა, სადაც გრანტებისა და ფინანსების მენეჯერის თანამდებობა ეკავა.

„ისევე, როგორც ყველა ჩვენგანის შემთხვევაში, ჩემს გარემოცვაშიც იყვნენ სუბსტანციაზე დამოკიდებული ადამიანები. რა დამოკიდებულება მქონდა ნარკოტიკების მოხმარების მიმართ? – უარყოფითი, თუმცა ამგვარი ადამიანებისადმი ჩემი სიყვარული ამ გარემოებამ ვერ შეცვალა. პირადად ჩემი დამოკიდებულება კი შეიცვალა. მოხდა ისეთი შემთხვევა, რამაც დამანახა, რომ კრიტიკა იმაზე ბევრად ადვილია, ვიდრე რეალურად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მათ დასახმარებლად.

რამდენიმე წლის წინ ჩემს შვილებთან ერთად ეზოში ვსეირნობდი. ეზოში ბევრი ბიჭი ირეოდა, რაღაცას ფუსფუსებდნენ, ფორიაქობდნენ. ერთი შეხედვით, მათ საქციელში თითქოს უჩვეულო არაფერი იყო... უცბად ეზო დაცარიელდა, აღარავინ ჩანდა. მხოლოდ იქვე, გზის განაპირას, მანქანაში, ორი მეგობარი მესამის გონზე მოყვანას უშედეგოდ ცდილობდა. სამივე ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო.

რომ დავინახე, ცოცხალი არც კი მეგონა, ისეთი ფერი ედო. მითხრეს, სასწრაფოს ვერ გამოვიძახებთ და მანქანით გამოგვყევიო. არც კი ვიცი, როგორ მივაღწიე საავადმყოფომდე აკანკალებულმა, ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად. დათო უკვე რეანიმაციაში შეეყვანათ და პირველი დახმარება აღმოეჩინათ. არ მეგონა, ცოცხალი თუ გადარჩებოდა. თავზე არავინ ედგა. ის ორიც გაქცეულიყო...

ეს ჩემი პირველი უშუალო შეხება გახლდათ ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან და, ზოგადად, ნარკოპოლიტიკასთან. მას შემდეგ ბევრს ვკითხულობდი ამ თემებზე და მსურდა, საკუთარი წვლილი შემეტანა საქართველოში სწორი ნარკოპოლიტიკის ჩამოყალიბებაში. ადრე, ზედოზირების შემთხვევაში, სასწრაფოს გამოძახება წარმოუდგენელი იყო. ამჟამად, ამ თემებზე მომუშავე ჯგუფის დიდი ძალისხმევის შედეგად სიტუაცია გაუმჯობესებულია, თუმცა ბევრი საკითხი კვლავ მოსაგვარებელია.

დღეს ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის აღმასრულებელი დირექტორი ვარ. მინდა, მთელი ჩემი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია ნარკომანიასთან დაკავშირებული პრობლემების წინ წამოწევასა და მტკიცებულებებზე დამყარებული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას მოვახმარო. მჯერა, რომ ზიანის შემცირების საქართველოს ქსელში შემავალი ორგანიზაციების ერთობლივი და თანმიმდევრული მოქმედებით ეს მიზანი მიიღწევა,“ – აღნიშნავს *თამარ გერმანაშვილი.*

შეხვედრები ზიანის შემცირების საქართველოს ქსელში

2015 წლის 1 აპრილს

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელში გლობალური ფონდის პროგრამის პროექტის „ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებისთვის აივ პრევენციული სერვისების მიწოდება“ ფარგლებში სუბ-რეციპიენტებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. *შეხვედრას*, რომელსაც მაკა გოგია – გლობალური ფონდის აივ/შიდსის პრევენციის პროექტის დირექტორი უძღვებოდა *არასამთავრობო ორგანიზაციების 14 სერვის ცენტრის წარმომადგენელი დაესწრო.* **შეხვედრაზე განხილული იყო: ინდიკატორების შესრულება (2014-2015)**, LFA-ის **და** PR-ის **კომენტარები, ყოველთვიურ ანგარიშებთან დაკავშირებული ხარვეზები, ფინანსური საკითხები, შპრიცების მეორადი დარიგების სახელმძღვანელოს ადაპტაცია და სხვა.**

არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრა „ახალი ვექტორის“ ოფისში

27 მარტს

არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალი ვექტორი“ ოფისში, „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის“ ინიციატივით სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავდა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო სტრატეგიის ანგარიშზე საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვას.

შეხვედრას შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ: „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელი“; „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი“; „მსოფლიო ექიმები საფრანგეთი“; „ჰეპა პლიუსი“; „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“; „ადამიანი უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“; „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“; „ სახალხო დამცველის ოფისი“.

შეხვედრის მონაწილეებმა გადაწყვიტეს, რომ „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის“ და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მომზადდება ერთიანი მიმართვა, რომელიც გაეგზავნება საქართველოში ამერიკის საელჩოს, შსს-ს, ჯანდაცვის სამინისტროს, პრემიერ მინისტრს და საქართველოს პარლამენტს. ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით პრეს-კონფერენცია გაიმართება.

გამოვავლინოთ, ვუმკურნალოთ, დავამარცხოთ ტუბერკულოზი!

24 მარტი

ტუბერკულოზის მსოფლიო დღეა. ამ დღესთან დაკავშირებით, მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, ყოველწლიურად სხვადასხვა ტიპის აქციები იმართება. წელს ამ დღის აღსანიშნავად „საქართველოს კოალიციამ ტუბერკულოზის წინააღმდეგ“ სოლიდარობის გვირილა-აქცია გამართა, რომლის ფარგლებშიც კოალიციასთან დამეგობრებულმა ორგანიზაციებმა/პირებმა გამოხატეს სოლიდარობა ტუბერკულოზთან ბრძოლის ნიშნის – გვირილის დაბნევით. ასევე 24 მარტს რუსთაველის გამზირზე პრესკონფერენცია და სოლიდარობის აქცია/მსვლელობა გაიმართა, რომლის მიზანი იყო ტუბერკულოზის პრობლემისადმი საზოგადოების ინტერესის გაზრდა და ტუბდაავადებულთა მხარდაჭერა.

აქციას – **„გამოვავლინოთ, ვუმკურნალოთ, დავამარცხოთ ტუბერკულოზი“** – „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელიც“ შეუერთდა.

შეხვედრა კაჭრეთში

20-21-22 მარტს, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის ორგანიზებით კაჭრეთში, სასტუმროში „ამბასადორი“ ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის (GHRN) 2014-2016 წლის სტრატეგიის დოკუმენტზე სამუშაოდ ქსელის გამგეობის წევრები და სამდივნოს წარმომადგენლები შეიკრიბნენ. შეხვედრას კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის CTC-ის წარმომადგენლები უძღვებოდნენ.

შეხვედრაზე ქსელის წარმომადგენლების მიერ მოხდა სამოქმედო სტრატეგიისა და პრიორიტეტების დასახვა, არსებული გამოწვევების გამოვლენა.

არსებული გამოწვევების საპასუხოდ შეხვედრის მონაწილეებმა შემდეგი სტრატეგიული სამოქმედო მიმართულებები დაგეგმეს:

1. **ზიანის შემცირების საკითხების ადვოკატირება** (მტკიცებულებებზე დაფუძნებული ნარკოპოლიტიკისა და პრაქტიკის განვითარება; C ჰეპატიტის მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა; მედიკამენტებით მხარდაჭერილი მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა; ქალ მომხმარებელთათვის სერვისების ხელმისაწვდომობის და უფლებების ადვოკატირება)

2. **ზიანის შემცირების სერვისების მიწოდება** (ზიანის შემცირების სერვისების განვითარება-გაფართოება; აივ/შიდსის, ვირუსული ჰეპატიტების და სხვა სისხლით და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენცია; ნარკოტიკებს მოხმარებით გამოწვეული ზედოზირებისდა მისი შედეგების პრევენცია; ქალ მომხმარებელთათვის სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა)

3. **ქსელისა და მისი წევრების შესაძლებლობების გაძლიერება** (ქსელის წევრი ორგანიზაციების ტექნიკური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება; ნარკოტიკების მომხმარებელთა თემის მობილიზება და გაძლიერება).

ზიანის შემცირება მუშაობს – დააფინანსეთ!

17 მარტს

ქუთაისში, არასამთავრობო ორგანიზაციამ „რუბიკონი“ **„ზიანის შემცირება მუშაობს – დააფინანსეთ!“** – პროექტის პრეზენტაცია გამართა. პროექტის მიზანია ზიანის შემცირების პროგრამების პოპულარიზაცია, ასევე დაფინანსების უწყვეტობა, რომელიც სწორედ სახელმწიფომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, აქამდე დაფინანსების უდიდეს ნაწილს გლობალური ფონდი იღებდა საკუთარ თავზე, ხოლო სახელმწიფოს წილი მიზერული იყო. 2018 წლიდან გლობალური ფონდი აღარ დააფინანსებს ამ პროექტებს და მნიშვნელოვანი ხდება სახელმწიფოს წილის გაზრდა და გააქტიურება.

არასამთავრობო ორგანიზაცია „რუბიკონმა“ პროექტში მონაწილე სხვა ორგანიზაციებთან ერთად, კვლევის შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები წარუდგინა მოწვეული გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, კერძოდ ქალაქის მერს შოთა მურღულიას. ორგანზაციების წარმომადგენლებმა გამოთქვეს იმედი, რომ სახელმწიფო დააფინანსებს ზიანის შემცირებას პროგრამებს საქართველოში.

„მნიშვნელოვანია, რომ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფომ აიღოს თავის თავზე პროგრამების დაფინანსება. ამჟამად სახელმწიფოს ძალისხმევა ძირითადად მკურნალობაზეა და არა პრევენციულ ღონისძიებებზე, მაგრამ ორივე ერთ რგოლს წარმოადგენს, რადგან რა აზრი აქვს მკურნალობას, თუკი ინფიცირების ათ ახალ შემთხვევას აქვს ადგილი. ასე საზოგადოება ვერ გაჯანსაღდება, არ მოხდება ახალი შემთხვევების ზრდის შეჩერება“, – აღნიშნა ორგანიზაცია „რუბიკონის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ზაზა ქარჩხაძემ.

პაციენტთა სკოლა

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წევრი ორგანიზაციები: „ახალი ვექტორი“, „ჰეპა პლიუსი“, „ნაბიჯი მომავლისკენ“, „ქსენონი“, „თანადგომა“ (ბათუმი) ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით წარმატებით ახორციელებენ შეხვედრებს „პაციენტთა სკოლის“ ფორმატში. შეხვედრების მიზანია მოსახლეობის, ინფიცირებულების და ინფიცირებულთა ოჯახის წევრების ინფორმირება C ჰეპატიტის დაავადების, მისი პრობლემატიკის, სიმპტომების, მკურნალობის და დიაგნოსტირების მეთოდოლოგიაზე – სიახლეების გაცნობა, თუ რას გეგმავს სახელმწიფო C ჰეპატიტთან ბრძოლის მიმართულებით.

*ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია „ქსენონი“, პაციენტის სკოლა: **„ყველაფერი C ჰეპატიტის შესახებ“***

ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია „ქსენონისა“ და სამეგრელოს მედიასაშუალებების შეხვედრა C ჰეპატიტის საკითხზე საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებისთვის მომავალი თანამშრომლობის დასაგეგმად.
10 თებერვალი, 2015 წ.

C ჰეპატიტით ინფიცირებულთა თვითორგანიზაცია „ჰეპა პლიუსი“, პაციენტთა სკოლა C ჰეპატიტის შესახებ

არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაბიჯი მომავლისკენ“, პაციენტთა სკოლა C ჰეპატიტის შესახებ

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ვექტორი“, პაციენტთა სკოლა C ჰეპატიტის შესახებ

საქართველოს თემის საკონსულტაციო საბჭო – GeCAB სამუშაო შეხვედრა

2015 წლის 6 თებერვალს

საქართველოს თემის საკონსულტაციო საბჭომ სასტუმროში „ბომონდ გარდენი“ სამუშაო შეხვედრა ***„C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა – პაციენტთა თემის ჩართულობა და უნივერსალური ხელმისაწვდომობა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობასა და დიაგნოსტიკაზე“ გამართა.*** შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა პაციენტთა თემის სამოქმედო სტრატეგიისა და პრიორიტეტების დასახვა, C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში პაციენტთა ძირეული საჭიროებების ასახვის უზრუნველსაყოფად.

შეხვედრის ფარგლებში, თემის საკონსულტაციო საბჭომ C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის შემუშავების პროცესის შემდეგი გამოწვევები გამოავლინა:

- პაციენტთა თემი არასაკმარისად არის ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი ადამიანების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ახალი თაობის პრეპარატებზე;
- ელიმინაციის პროგრამის მდგრადობადა ეფექტიანობა;
- დიაგნოსტიკის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა;
- მაღალი რისკის ჯგუფების სპეციფიკების გათვალისწინება დიაგნოსტიკის დენიპროგრამირებისას, კონ-ცენტრირებული ეპიდემიის პირობებში;
- მაღალი რისკის ჯგუფების სპეციფიკების გათვალისწინება პრევენციის პროგრამირებისას, კონცენტრირე-ბული ეპიდემიის პირობებში;

აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ თემის საკონსულტაციო საბჭოს მიერ მოხდა შემდეგი სტრატეგიული სამოქმედო მიმართულებების დაგეგმვა:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესებში პაციენტთა თემის ჩართვის უზრუნველყოფა;
- მაღალი რისკის მქონე ჯგუფების სპეციფიური მიდგომებისა და საჭიროებების ასახვის უზრუნველყოფა – მკურნალობის, დიაგნოსტიკის და პრევენციის პროგრამებში;
- პაციენტებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ხარისხიან ყოვლისმომცველ და მდგრად მკურნალობაზე, დიაგნოსტიკასა და პრევენციაზე;
- მუნიციპალური ბიუჯეტების დაგეგმვის პროცესში ჩართვა და აღნიშნული ბიუჯეტების მიზანმიმართულობის უზრუნველყოფა პაციენტთა ძირეულ საჭიროებებთან;

თემის საკონსულტაციო საბჭოს ხედვით, პროგრამის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ კომპლექსური და ხარისხიანი ინტერვენციების განხორციელება.

GeCAB-მა მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს საერთაშორისო/რეგიონალური ექსპერტები, რათა მოხდეს გამოვლენილი სამოქმედო და სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

თემის საკონსულტაციო საბჭო ითვალისწინებს, რომ შეზღუდული სახელმწიფო რესურსების პირობებში ყველა აუცილებელი ინტერვენციის დაფინანსება ვერ მოხერხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სრულყოფის მიზნით მნიშვნელოვანია, მერიებისა და მუნიციპალურ ჯანდაცვის ბიუჯეტებში არსებული ფინანსური რესურსების გამოყენება.

ამ ეტაპზე მერიებსა და მუნიციპალიტეტებთან მოლაპარაკებების ინიცირების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი მიმდინარეობს.

შეხვედრაში თბილისის მერის მრჩეველმა ქალბატონმა ნინელი ფუტკარაძემ მიიღო მონაწილეობა. თემის საკონსულტაციო საბჭოს შეთავაზებით თბილისის მერიასთან უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც გააერთიანებს მერიის წარმომადგენლებს, სხვა სახელმწიფო უწყებების, დარგობრივი პროფესიონალებისა და პაციენტთა თემის წარმომადგენლებს. სამუშაო ჯგუფის დანიშნულება იქნება მერიის ბიუჯეტში არსებული ფინანსური რესურსების დაგეგმვა და მიზანმიმართვა იმ მიმართულებებზე, რომლებიც არ არის ან არასაკმარისად იქნება დაფარული C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. ნინელი ფუტკარაძე აღნიშნულ შემოთავაზებას მიესალმა. უახლოს მომავალში თბილისის მერიის წარმომადგენლებთან შეხვედრა დაიგეგმა. ასევე დაიგეგმა რეგიონალური მერიებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან შეხვედრები სამუშაო ჯგუფის შექმნის ინიცირების მიზნით.

GeNPUD
ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელი
GEORGIAN NETWORK OF PEOPLE WHO USE DRUGS

ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის ტრენინგი

23-24-25 თებერვალს

სასტუმროში „ბომონდ გარდენი“ „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის“ ორგანიზებით ფონდების მოძიების საკითხებზე ტრენინგი/სამუშაო შეხვედრა გამართა. ტრენინგს უძღვებოდნენ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის წარმომადგენლები.

ტრენინგის ფარგლებში ასევე საპროექტო განაცხადი მომზადდა.

სამუშაო შეხვედრაზე, ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის საპროტესტო აქცია დაიგეგმა, რომელიც მაისის თვეში ჩატარდება.

შეხვედრას ესწრებოდნენ ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის გამგეობის, წევრები, აქტივისტები და წარმომადგენლები საქართველოს რეგიონებიდან.

სიეტლის კონფერენცია

23-26 თებერვალს ქ. სიეტლში, აშშ, ყოველწლიური კონ-ფერენცია რეტროვირუსულ ინფექციებსა და ოპორტუნისტულ ინ-ფექციებზე (CROI) გაიმართა. კონფერენციას მსოფლიოს 100-მდე ქვეყნიდან 4 000 დელეგატზე მეტი ესწრებოდა. წარმოდგენილ იქნა მეცნიერთა და პრაქტიკოს ექიმთა თანამედროვე მიღწევები აივ/შიდსის მკურნალობის და პრევენციის მიმართულებით. კონ-ფერენციაში გლობალური ფონდის პროექტის „ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისთვის აივ პრევენციული სერვისების მიწოდება“ დირექტორი, მაკა გოგია მონაწილეობდა.

„კონფერენციის მსვლელობის პარალელურად ჯგუფური სესიები იმართებოდა, სადაც ხდებოდა კვლევების დასა-გეგმად წარმატებული მოდელების წარდგენა, პრაქტიკუ-ლი გამოცდილების გაზიარება. საინტერესო აღმოჩნდა იმ კვლევის შედეგების მოსმენა, სადაც კვლევის დაგეგმვის მომენტიდან მისი განხორციელების ყველა ეტაპზე მოწყვ-ლადი ჯგუფების წარმომადგენლები იყვნენ ჩართული.

ყოველ საღამოს ახალგაზრდა მკვლევარებისთვის შეხვედრები იმართებოდა, სადაც კონფერენციაზე გან-ხილული საკითხების ირგვლივ მსჯელობა მიმდინარეობდა. საკვლევი საკითხების უკეთ შესწავლის მიზნით უფროსი მკვლევარების მიერ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებისთვის ინდივიდუალური დისკუსიები მიმდინარეობდა.

ძირითადი სესიები, რაც საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის: პრე და პოსტ კონტაქტური აივ პროფილაქტი-კა – მიღწევები და გამოწვევები; ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ აივ ინფიცირებულთა მკურნალობის შედეგებზე, პრევენცია აივ ინფიცირებულ და მათთან კონტაქტში მყოფ პირებში; აივ ინფექციის კონტროლი და გლობალური დაპირების შესრულება ეპიდემიის შესაჩერებლად; თემის ჩართულობის მნიშვნელობა აივ/შიდსის მართვის ყველა ეტაპზე – პრევენცია, მკურნალობა, მოვლა; ტუბერკულოზი და მისი მართვა აივ ინ-ფიცირებულ და სხვა მაღალი რისკის ჯგუფებში; აივ და თანმხლები დაავადებები და მათი მართვა; აივ პრე-ვენციის მოცვის მასშტაბების გაფართოება და პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში; აივ ტესტირების და კონსულტირების გამოწვევები, თვით-ტესტირება და მისი მნიშვნელობა; ჩანაცვლებითი თერაპიის მნიშვნელობა ნიმ-ებისა და აივ ინფიცირებული პირებისთვის, პროგრამების მიმდი-ნარეობის შედარებითი ანალიზი სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებზე დაყრდნობით“ – აღნიშნა მაკა გოგიამ

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

რედაქტორი: მარინა ასათიანი

**დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ
დაუკავშირდეთ ზიანის შემცირების საქართველოს
ქსელის მედია კოორდინატორს მარინა ასათიანს
ელექტრონულ მისამართზე**
marinaasatiani@yahoo.com

ან

**მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები, შეხედულებები,
გაგვიზიარეთ საკუთარი გამოცდილება და საქმიანობაში
მიღწეული წარმატებები მისამართზე:**

თბილისი, 0171, პეკინის გამზ. 2,
მე-2 სადარბაზო, მე-4 სართული, ბ. 19
ტელ.: ოფისი +995 221 32 11
ფაქსი: 995 2478794
ელ.ფოსტა: *info@hrn.ge*
www.hrn.ge

GHRN
ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი
GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო